№ 44.

# ივერია

წელიწადი პირველი

29 დეკემბ. 1877 წ.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

გამოდის ხუთშაბათობით

ხელის მოწერა: ტფილისს, „ივერიის" რედაქციაში, მთაწმინდის ქუჩაზე, შიოევის სახლების ზემოდ. № 5
ქუთაისს, ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

გაზეთი ივერია გამოვა 1878 წელს იმავე სახით, იმავე პროგრამმით და ისევ კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით.

ფასი ერთის წლისა, გაგზავნით თუ გაუგზავნელად, შვიდი მანეთია.

ხელის-მოწერა მიიღება დილის ათის საათიდამ ნაშუადღევის ორს საათამდე ტფილისში, «ივერიის» რედაქციაში, რომელიც იმყოფება მთაწმინდის ქუჩაზედ, შიოევის სახლების ზემოდ, ქანანოვის სახლში, სახლი № 5.

ქუთაისში ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა შეუძლიანთ დაიბარონ გაზეთი «ივერია» ამ ადრესით: Въ Тифлисъ, въ редакцію газеты ИВЕРІЯ.

---

**საძიებელი** I. საქართველოს მატიანე: (ივერიის კორრესპონდენცია)—II. საპოლიტიკო მიმოხილვა.—III. ოსმალოს საქართველო: (ა, გვარეულობანი ბ, ქალაქები და სოფლები).—IV. საქართველო, (ისტორიული და ეტნოგრაფიული გამოკვლევა —V. ბესარიონ ჯაფარიძის სურათი (ნეკროლოგი).—VI. განცხადებანი.

---

## საქართველოს მატიანე

### „ივერიის" კორრესპონდენცია

**თელავი.** თუმცა ჩვენდა საუბედუროდ, კახეთს „რკინის" გზა არ ეღირსა, მაგრამ ამის მაგივრად კახეთში დააკეთეს მშვენიერი გზები. თითქმის მთელს კახეთს გარშემო უვლის გზა-ტკეცილი (шоссе), და ეს გზა თითქმის ყოველ კახეთის სოფელზედ მიდის, (მე მაქვს სახეში თელავის და სიღნაღის მაზრები). გარდა ირგვლივ გზისა, კახეთში არის კიდევ ორი გზა, ერთი თელავის მაზრაში, მეორე სიღნაღისაში, რომლებიც აერთებენ ანუ აკავშირებენ გაღმა და გამოღმა მხარეებს. პირველი მათგანი მიდის თელავიდამ, გადის ალაზნის ხიდზე, რომელიც ს. შაქრიანის ბოლოს არის, მერმე ს. ს. ენისელში, შილდაში (ბოლოს), ყვარელში, ბეჟანიანში და აქედამ ქვევით ლაგოდეხში. მეორე გზა მიდის სიღნაღიდამ ლაგოდეხამდინ.

თელავიდამვე მიდის ერთი გზა სიღნაღისკენ, მეორე თიანეთში, რომელიც ჯერ ს. ახმეტამდინ არის გაკეთებული, მესამე—თბილისისკენ, რომელიც ჯერ მხოლოდ ლაგირამდინ (გომბორამდინ) არის გაყვანილი; მაშასადამე, ამ შემთხვევაში თელავის მაზრას—თელაველებს კი არა—სოფლელებს, გლეხებს,—თავისი საქმე აუსრულებია, რადგანაც თიანეთის მაზრის მხრივ თელავის მაზრას ს. ახმეტა აქვს საზღვრად, თბილისის მაზრის მხრივ—გომბორი. რას უყურებენ და რას უცდიან თბილისის და თიანეთის მაზრები, რატომ არ მიაქვთ თელავის მაზრის მიჯნიდამ გზა და არ გაჰყავთ თავის მაზრაში—არ ვიცი. ამ საქმეს, ვისიც ჯერია, მე მგონი, დრო არის ყურადღება მიაქციოს, რადგანაც კახელებისათვის დიდს საჭიროებას შეადგენს. ამაზედ თუ დროება და საქმე მოიტანს, შემდეგაც მოგილაპარაკებ დაწვრილებით.—თუმცა ეს გზები კარგნი არიან, მაგრამ, ნათქვამია: „კოკა ყოველთვის წყალს ვერა ჰზიდავსო,—ერთხელაც იქნება გატყდებაო." ესევე შეგვიძლიან ჩვენ ვსთქვათ კახეთის გზებზე: თუმცა გაკეთდნენ, მაგრამ.... ფუჭდებიან ხშირად

სხვა და სხვა მიზეზების გამო, ხოლო გასწორების მაგივრად, ვისიც ჯერია ყურებს არ იბერტყავს. ეს რომ ასეა—მე თვითონ დავრწმუნდი ჩემის ორის თვალით და ვისაც უმგზავრნია ამ გზებზე ამ ორ თვეში, ისინიც დამეთანხმებიან. ზოგს ადგილას ისე გაფუჭებულია გზები, რომ არამც თუ ეტლს, ცხენსაც არ შეუძლიან გაიაროს. მაგალითად: თქვენ მიბძანდებით თელავიდამ ს. ახმეტაში. ამ გზაზე შეგხვდებათ არა ნაკლებ ოც-და-ათის ბოგირისა, რომელთა შორის ოთხიოდე ქვით-კირისაა, დანარჩენი კი ხისა. ამ ბოგირებში სამი თუ ოთხი თუ იპოვება, რომელზედაც შეიძლება ეტლის გატარება,—დანარჩენი კი ღმერთმა შეინახოს! ასე ნაირად არიან ჩამტვრეულნი და ჩანგრეულნი, რომ პირ-და-პირ გასვლის მაგივრად ურემმა და ზოგჯერ ცხენმა ოც და ორმოც საჟენზე უნდა მოუაროს თავში ან ბოლოში ბოგირს და ისიც—ვინიცის მშვიდობიანად გავა თუ არა?! ესევე შეგვიძლიან ვსთქვათ გომბორის გზებზე. დავიჯეროთ, რომ იმათ, ვისიც ჯერია, არ იციან ეს ამბები. იციან, ბატონებო, მაგრამ გული უნდა გულობდეს, რომ მჭადი ორის ხელით იჭამოს.

ჩემის აზრით, გზებზე ხის ბოგირების მაგივრად, რომლებსაც წელიწადში ორჯელ მაინც უნდა გამოეცვალოს ფიცრები, სჯობია, რომ ქვით-კირის ბოგირები დააკეთონ, რადგანაც თითქმის ერთი და იგივე ფასი უნდება. თუნდა, ვსთქვათ ერთის ქვით-კირის ბოგირის გასაკეთებლათ ორი ფიცრის ბოგირის ფასი მოუნდეს. ქვით-კირის ბოგირი მკვიდრია და გამძლე, ხის ბოგირს კი ყოველთვის ხელახლად ცვლა და კეთება უნდება—ეს რომ სახეში იქონიოს კაცმა, ბოლოს და ბოლოს ის გამოვა, რომ ქვით-კირის ბოგირი თუ არ ნაკლებ-მეტად არ დაჯდება ხის ბოგირზედა. ქვით-კირის ბოგირები მეორე მხრითაც კარგია: ვინც კახეთში ყოფილა, ეცოდინება, რომ აქ ბლომა დაქანებული ხევებია, რომლებიც წვიმების დროს ნიაღვრის წყლით აივსებიან ხოლმე და ხის ბოგირებს ადვილათ ჰგლეჯს. ქვით-კირს ასე ადვილად ვერ გააფუჭებს, მეტადრე მაშინ, თუ გვერდებზე გოდორყურები აქვთ...

X

ბევრი ვაი-ვაგლახის და ყვირილის შემდეგ გაზეთებში, თელავში გახსნეს აფთექა. ყველა დიდის სიამოვნებით მიეგება ამ კეთილს საქმეს და ეგონათ, რომ ეს არის, ეხლა კი გვეშველება მატყუარა და ცრუ ფერშლებისაგან, რომლებიც დიდს სასყიდელს იღებდნენ (ეხლაც იღებენ), ტყუილ-უბრალო წამლებში (წამლებს კი არა ან ბალახს რასმე, ან მიწას), და ავად-მყოფს ასმევდნენ ძვირად მოსარჩენად და ხშირად კი სასიკვდილოთ. მაგრამ საუბედუროდ ვერც აფთექამ გაამართლა საზოგადოების მოლოდინი. აფთექა აი ეს რვა თუ ცხრა თვეა რაც დაარსდა თელავში, მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ თელაველების გულის ტკივილს წამლად ვერ დაედო. მართალია, თუმცა თელავის აფთექამ გაუადვილა საზოგადოებას „ნამდვილის“ წამლების შოვნა, მაგრამ ვაი ამისთანა შოვნას, როგორც ვშოვობთ ჩვენ თელავის აფთექიდამ! აი რაში მდგომარეობს საქმე: ვისაც ჰკითხავთ, ყველა იმას ჩივის, რომ საშინლად ბევრს სასყიდელს იღებენ წამლებშიაო, თითქმის ტფილისის კვალობაზედ აქ სამჯერ მეტად ისყიდება წამლები. ვინ არის მოჩივარი? თუ ვინმე ხმა გასცა აფთექარს, რომ ძვირად ჰყიდი წამლებსაო—არც კი მ. ჰყიდის და! ეს კიდევ არაფერი. ჯანი გავარდეს სიძვირეს, როცა საჭიროა, ოღონდ ყოველთვის შეგვეძლოს შოვნა წამლებისა. ვსთქვათ შეგიწუხდათ ვინმე სახლში და წამლებისთვის გაიქცათ აფთექაში, მიხვალთ და უკანასკნელი სამი საათი უნდა უცადოთ, მინამ აფთექარს იპოვნიან. მაშ სად არის, მკითხავს მკითხველი,—აფთექარი ხომ განუშორებელად უნდა იყოს აფთექაში?—მეც ამას ვჩივი და ვსტირი, ჩემო მკითხველო, რომ „განუშორებელის“ მაგივრად „გაშორებულია“ აფთექას ჩვენი ი. ი. ჰაი აქეთ, ჰაი იქით, ეძებენ თავგადაგლეჯილი აფთექარს! როდის-როდის, იპოვიან სადმე ქაღალდის (სათამაშო) სტოლის წინაშე და მოიყვანენ (თუ წაგებული აქვს ფული, იქნება არც კი წამოვიდეს). ახლა რამდენიმე საათი წამლის შეზავებას მოუნდება და ამ დროს განმავალობაში ავადმყოფსაც თავისი დაემართება!.. ვართ ამ ვაი-ვაგლახში და „სად არის ხელი მხსნელისა!“ ჩვენის პოეტისა არ იყოს. ქრისტიანები არა ხართ, გვიშველეთ რამე და დაგვიხსენით ამ

„ფული-ულაპიასაგან.“ კეთილს საქმეს იზამს, ვინც თელავში გამართავს აფთიაქის ნივთების მაღაზიას (Магазинъ аптекарскихъ товаровъ). იქნება მაშინ მაინც გაგვიიაფდეს წამლები და ამ აუარებელ სიძვირეს გადაგვარჩინონ. ამ საგაგლახო დროს ხორაგის სიძვირეც გვეყოფა... ჰო, მართლა, კინაღამ არ დამავიწყდა ქაღალდს, ბატონებო, მარტო ჩვენი პატიოსანი აფთექარი კი არ ეწყობა, თითქმის მთელი თელავის „მაღალი“ (თუ არის) საზოგადოება. თუ მცირე აზიაში და დუნაიაზე გაცხარებული ბრძოლაა გაცხარებულის იარაღით—თელავში ბრძოლა ქაღალდით არის. განა თელაველები ამ გვარ საქმეებში დაუვარდებიან ვისმეს თუ! ერთი კი დაიძახოს ვინმემ, რომ აქა-და აქ ამაღამ „იარალაშის,“ ან „პრაფერანსის“ თუნდ სტუკოლკის“ თამაშობაო, თორემ სხვა არაფერი უნდათ თელაველებს: ისე გაიქცევიან, რომ „ჭუდით ქვას“ ისვრიან!

✕

ვიშ ამ ზამთარსა! გაგიგონიათ ამისთანა სუსხი ზამთარი კახეთში, ნამეტნავად გამოღმა?! ოთხს და ხუთს ქრისტეშობისთვეს ისეთი ყინვა იყო, რომ თქვენი მოწონებული. ხუთს ქრისტეშობისთვეს კი თოვლი მოვიდა და არ შეწყვეტილა ერთს კვირამდინ. ამ ჟამად კახეთში თოვლი თითქმის ერთი მტკავლის სიმაღლეზეა. ეს სუსხი ზამთარი თითქო ომს ეჯიბრებაო. ისეთ ნაირად სუსხავს ამ ჩვენ თელავის „ნაზს“ ხალხს, როგორც ბერდანკის ტყვია. ახლა რა მოჰყვა ამ ცივს ზამთარს?! ისეთი სიძვირე ყველაფრისა, რომ თითქმის თბილისის სიძვირეს არაფრით ჩამოუვარდება! წარმოიდგინეთ, თელავში რომ საჟენი შეშა ორ თუმნათ და ურემი ოთხს და ხუთ მანეთათ იყოს,—სხვაგან, ანუ სხვა ცხოვრებისათვის საჭირო ნივთები როგორღა უნდა იყვეს თელავში!.. წარმოიდგინეთ, ძველი დამპალი დოში, (დოში კი არ არის, სხვა რაღაცაა) შვიდ შაურათ არის გირვანქა!.. ორჯელ გალაქნური მოიტანეს (ისიც უგემური) და წყვილი სამ აბაზათ გაჰყიდეს! იტყვის მკითხველი: თუ ასე ძვირი და უვარგია—ნუ იყიდიანო. მაშ, ბატონებო, რა სჭამონ?! ლობიო წელს არ მოვიდა კახეთში, ბრინჯიც გაძვირდა—გირვანქა ორი შაურია (თელავში!), კარტოფილი მანეთია ფუთი, ზეთი (მწარე, თორემ ტკბილს აქ ვინ გვაღირსებს) გირვანქა ორი აბაზია! აბა ერთი მითხარით, მკითხველო, რა უნდა ქნას საწყალმა კაცმა, როგორ უნდა იცხოვროს ამ სიძვირეში?! ერთის იმედი გვქონდა—საკლავისა,—მაგრამ ესეც დაამძვირეს ამ წყეულმა დიპიანებმა—ლიტრა ცხრა შაურიდამ უცებ სამი აბაზი გახადეს,—თუ ამას დაგვაჯერეს კარგი კიდევ. აქ თელავში ტაქცია არა გააქვს. ნეტა ამისთანა ყურ მიგდებული და უზრუნველი ხალხი კიდევ იქნება სადმე სხვაგან, როგორც თელავში?! „ოხ, ღმერთო ჩემო, სულ ძილი ძილი, როსღა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება?!“ ვიტყვი მეც ჩვენის პოეტის გულსაკლავის სიტყვითა. გაიღვიძეთ, თელაველებო, თვალები მოიფშვნიტეთ, მიიხედ-მოიხედეთ, დაათვალიერეთ რას შვრებიან სხვა საზოგადოებანი. სომხებს მაინც მიჰხედეთ და მერწმუნეთ, რომ ისე აღარ იქნებით დაბრიყვებული გაჭვართაგან, როგორც ეხლა.... ამ სტრიქონების დამწერს ანდერძათ აქვს მიღებული ქართული ანდაზა: „მოყვარეს პირში უძრახე, მტერს პირს უკანაო....“

ქართველი.

1877 წ. 15 ქრისტეშობისთვეს.

---

## საპოლიტიკო მიმოხილვა

მას აქედ რაც საფრანგეთში მაკ-მაჰონი ძალა-უნებურად დაემორჩილა ხალხის ნებას და იქ რესპუბლიკელი სამინისტრო შეჰსდგა, ევროპას ერთი დიდი ლოდი აეხსნა გულიდამ და ამის გამო ამ მხრით მოცლილმა ევროპამ სრული თავისი ყურადღება ეხლა აღმოსავლეთის საქმეს მიაქცია. ქვეყნის ჭირად და ტკივილად დღეს მარტო ეგ საქმეა, ხმალ-ამოღებით კარზედ მომდგარი. ვინდა თუ არა პასუხი უნდა გაჰსცე. ყველანი ეხლა ამას ჰკითხულობენ: როდის, რით და სად უნდა გათავდეს ეს ნაღმზედ მოარული საქმე. ყველამ იცის, რომ ცოტაოდენი შეცდომა, გაუფთხილებლობა, ნახტომის შეშლა სამყოფია ამ ნაღმის ააფეთქად და მთელის ევროპის ერთმანეთთან შესაჯახებლად. ყველამ იცის და ვისაც ძვირად უღირს ადამიანის სისხლი თრთის ამ საშინელის შემთხვევის მოლოდინითა. დიპლომატიამ თავისი ქსელი გააბა კიდეც და აფეთქებს ნაღმს თუ არა—არავინ იცის. გაზეთები კი, რომელთაც ჯერ ხელში ვერა ჩაუგდიათ რა გულ-

დასაჯერი, ჭორაგანაობით შეჰქცევიან, ზოგი რას ამბობს, ზოგი რას.

გაზეთების სიტყვით,—ინგლისის ელჩი სტამბოლში ლეიარდი ძალიან ცდილობს თურმე, წააქეზოს ოსმალოს მთავრობა ომის გასაგრძელებად. შეიხ-ულ-ისლამი ოსმალეთისა წინააღმდეგია რუსეთთან მორიგებისა. გაზეთს „Times“ სტამბოლიდამ ჰსწერენ, რომ აქ ომის მომხრენი იმედოვნებენ, რომ საფრანგეთი ინგლისს მიუდგებაო და დაუყოვნებლივ საომარს ხომალდებს ბოსფორში ორივ ერთად გამოჰგზავნიანო. ოსმალთ დიდი იმედი აქვთო, რომ იტალიაც და ავსტრიაც საფრანგეთს და ინგლის მიუდგებიანო, იტალია იმიტომაო რომ მისთვის საჭიროაო ზღვის ნაპირები დაიცვასო და ავსტრია კიდევ იმის გამოო, რომ ვენგრია ძალას ატანსო. გაუმართლდება ოსმალოს ეს იმედები თუ არა, არ ვიცით. მაგრამ, ვინ იცის, იქნება ამაში ზოგიერთი რამ უსაბუთოც არ იყოს. გაზეთის „Times“-სისავე კორრესპონდენტი ვენიდამ იწერება, რომ ლონდონის და პარიჟის მთავრობათა შორის ლაპარაკიაო ერთმანეთის მომხრეობაზედ აღმოსავლეთის საქმის გამოო და ბევრად საეჭვოც არ არისო, რომ ამათ ერთმანეთს მხარი მისცენო, და მოედანზედ ერთად გამოვიდნენო. ამას წინად კიდევ გერმანიაში ერთი ინგლისელი სახელად ბიშოპი დაუჭერიათ; გაუსინჯავთ ამისი ქაღალდები და უპოვნიათ აღწერა მისი თუ სად რა ჯარი ეყოლება გერმანიასა საომრად რომ დაიძვრის. გარდა ამისა უპოვნიათ პლანები სამხრეთ-გერმანიის ციხე-სიმაგრეებისა, რომელნიც საფრანგეთის მესამზღვრე მაზრებში აქვთ გერმანიელთ. სულ ეს ქაღალდები და პლანები საფრანგეთისათვის არიან თურმე ნაყიდნი ერთის პრუსიის, სამხედრო წოდების, მოხელესაგან. პრუსსიელნი გაბოროტებულნი არიან თურმე საფრანგეთის ამისთანა საქციელზედ და ელიან, რომ იქაურმა მთავრობამ ამაზედ ხმა ამოიღოს. ჯერ ბერლინში ამ ამბავს ყურიც არ ათხოვეს და როცა შეიტყეს, რომ ყოველი ესე საფრანგეთისათვის ყოფილა დანიშნული, მაშინ კი დიდი ყურადღება მიაქციეს.

იქნება ყოველს ამაში ერთი იოტიც მართალი არ ერიოს, მაგრამ ხომ მოგეხსენებათ მომახჩვავი ხავს ეჭიდებაო და ოსმალოც ამ ხმებით გულს იკეთებს და რამდენადაც ამისთანა ხმები ხშირია, იმდენად იგი უფრო მაგრზედ დგება: არას გზით არა ჰსწადის, რომ მიჰმართოს პირდაპირ რუსეთს უშუამავლოდ და შერიგება ჰსთხოვოს, თუმცა უფრო მეტმა ნაწილმა ევროპიის სახელმწიფოთა ეს ურჩიეს.

ივერიის მკითხველთა მოეხსენებათ, რომ პლევნის დაცემის შემდეგ ოსმალომ ყოველს უმთავრესს სახელმწიფოს შუამავლობა ჰსთხოვა და შეუთვალა მარტო თქვენის სიტყვით და თანა დასწრებით მოვურიგდებიო რუსეთს. ინგლისის გარდა, ყველამ უარი შეუთვალა და ზემოხსენებული ურჩია. ინგლისმა კი პასუხი დაუგვიანა და ესლა გაზეთები ამბობენ, რომ შუამავლობა უკისრნიაო. მაგრამ არავის კი ჰსჯერა, რომ მაგ შუამავლობით გამოვიდეს რამე.

ჩვენის ფიქრით, ყოველივე ეს არაფერი საბუთია არც ჰოსათვის და არც არასათვის. საქმე ინგლისის პარლამენტია, რომელიც ლორდ ბიკონსფილდის მოწოდებით ჩვეულებრივს ვადაზედ ადრე უნდა შეიკრიბოს. დიდს სჯასა და ბაასში არიან საზოგადოდ ევროპაში და განსაკუთრებით ინგლისში მასზედ, თუ რა საჭიროებამ იძულებულ ჰყო ინგლისის პირველი მინისტრი რომ ეგრე ადრე ჰკრებს პარლამენტსა. მშვიდობის მომხრენი ინგლისელნი ბევრსა ცდილობენ, რომ ხალხი მოამზადონ და პარლამენტში პირველს მინისტრს სიტყვა არ გააყვანინონ ომში ჩარევისათვის. რაც დიდი ქალაქებია, სულ ყველას შეუთვლია ინგლისის მთავრობისათვის, რომ ომისაგან დაიხსენითო ჩვენი ქვეყანა და ნეიტრალიტეტს ნუ დაარღვევთო. ლიბერალთა დასი აფთხილებს ხალხს, არამც და არამც ომში ჩარევის ნება არ მისცეთო მთავრობას, რადგანაც ინგლისისათვის ჯერ საზიანო არა მომხდარა რაო. თუმცა პირველს ლორდ ბიკონსფილდს ომისათვის გული მიუწევს, თუმცა თვითონ ინგლისის დედოფალი ვიქტორია რუსეთის წინააღმდეგია და ბიკონსფილდის პოლიტიკას თანა-უგრძნობს, მაგრამ საკვირველი ეს არის, რომ მაშინ როცა სამინისტროს წინააღმდეგი ლიბერალთა დასი ამღვრევს ღალადებს, სამინისტროს მომხრენი ამ უკანასკნელ დროს გაჩუმებულნი თურმე არიან. ეს თვით ინგლისშიაც ყველას უკვირს და რას მოასწავებს არ იციან. ყველას ამის იმედი კი აქვს რომ პარლამენტი შეიკრიბებაო და მაშინ ყველა დაფარული გამოცხადდებაო.

ჩვენა გვგონია, რომ თვითონ ოსმალოც ამ პარლამენტს შეჰყურებს და თუ ამ ჟამად საქმეს იჭირებს

და რუსეთს არ ურიგდება იმისათვის, რომ ომს იმ დღემდე მიასწევინოს, ვიდრე ინგლისის პარლამენტი თავისას იტყვის. თუ პარლამენტი ბიკონსფილდს პოლიტიკას მოუწონებს, მაშინ ოსმალოს იმედი ექმნება, რომ ინგლისი ომში ჩამოემშველება და საქმე გამიკეთდებაო, თუ არა და, იმედს გადიწყვეტს, პირ-და-პირ რუსეთს მიჰმართავს და შერიგებას ითხოვს. ჯერ ინგლისიდამ რაც ამბები მოდის, უფრო დასაჯერია, რომ პარლამენტი დაუწუნებს პოლიტიკას ბიკონსფილდსა. ამბობენ თუ ეს მოხდაო, ბიკონსფილდი გადააყენებს პალატასაო და ამ სახით ინგლისის ხალხს დაეკითხებაო. თუნდ რომ მოუწონოს კიდეც და მარტო ინგლისმა გამოილაშქროს ვითომ რუსეთისათვის ეგ შიშს რასმეს მოასწავებს? ინგლისი ზღვის სახელმწიფოა, რუსეთი ხმელეთისა, ერთმანეთზედ კარგა მანძილზედ დაშორებულნი არიან. როგორ და რით მისწვდებიან ერთმანეთს? ბისმარკს კი უთქვამს ამას წინად: „თევზი და დათვი ერთმანეთს ვერას დაუშავებენო.“ ჩვენ კიდევ მაინც იმ აზრზედ ვდგევართ, რომ თუ ინგლისმა ომი მოიწადინა, მარტო არ გამოვა მოედანზედ და თუ ვისმე ჩაიყოლიებს, მაშინ ევროპა ერთი-ერთმანეთს დაეჯახება.

ამ ბოლოს დროს კი ტელეგრამმა მოვიდა ვენიდამ, რომ ინგლისის მთავრობაც დათანხმდა სხვებსა, რომ ოსმალომ პირ-და-პირ რუსეთს მიჰმართოსო და მარტო ამ ორმა ერთმანეთში დაასკვნან შერიგების პირობანიო. ეს ამბავი რომ გამართლდეს, შერიგების საქმეს საიმედო გზა გაეხსნება.

— ომებზედ ჯერ არა ისმის რა იმისთანა, რომ დიდად შესანიშნავი იყოს. ამ ზამთრის სუსხმა და ახალის შეტაკებისათვის მზადებამ შეაყენა, ჯერ ხანად მაინც, თოფისა და ზარბაზნის გრიალი. საზოგადოდ ოსმალნი უკან იწევენ დუნაიაზედ და რუსნი წინ მიდიან. შესანიშნავი ამ ბოლოს დროს ის მოხდა, რომ რუსებმა სოფია დაიპყრეს. აქ ჩვენკენ კიდევ, ერთის ინგლისის გაზეთის სიტყვით, ის მოხდა, რომ არზრუმისათვის ჩვენებს ალყა შემოურტყავთ და ყოველი გზები შეუკრავთ.

---

## ოსმალოს საქართველო *)

### ა) გვარეულობანი.

საზოგადო მიმოხილვის შემდეგ ოსმალოს საქართველოს ნაწილებისა, საჭიროდ მიგვაჩნია იქაურ თავადთა და აზნაურთა გვარნი მოვიხსენიოთ. ამ გვარეულობათაგან მრავალნი მოიპოვებიან რუსეთის საქართველოში, ქართლ-კახეთში და იმერეთ-გურია-სამეგრელოში. როგორც წინა წერილებში მოვიხსენეთ, აქამომდე ზოგთ ახლო მონათესაობა აქვთ და თუ დაშორებულა, ხსოვნა და მეგობრობა დარჩენილა. როგორც ჩვენში რუსეთის საქართველოს ძველ გვარეულობაში დარჩენილია და ახსოვთ წარსულის ცხოვრების ამბავი, ისტორიული შემთხვევა და ზოგჯერ ფრიადაც სახელოვანი ღვაწლი, იმ გვარათვე დარჩენილა ოსმალოს საქართველოში. ეს მოთხრობა გვარეულობის წარსულის ცხოვრებისა და ეს ერთობა გვარეულობათა ოსმალოს და რუსეთის საქართველოისათა ისეთი დასამყარებელი საძირკველია, რომელსაც შეუძლია საქართველოს ორთავე ნაწილის დაახლოვება და სულით შეერთება.

ძველი ქართველური პატივისცემა და სიყვარული გვარეულის სისხლისა და ნათესაობისა ოსმალოს საქართველოში დღეს უფრო ძლიერად დარჩენილა, ვიდრე ჩვენკენ იმერეთში ანუ ქართლ-კახეთში. ოსმალეთის საქართველოს გვარეულობის ოჯახნი ერთმანეთის პატივისმცემელნი და ყოვლისფრით შეკავშირებულნი არიან. ამ გვარეულობის პატივისცემას და ერთობას აძლიერებს სისხლის აღება, რომელიც იმ გვარათვე ძლიერათ არის დარჩენილი, როგორც ძველათ საქართველოში ყოფილა და ამ ჟამათაც ზოგ ჩვენ მთიულ ხალხშია. გვარეულობაში თუ კაცი მოკლეს, მთელი გვარეულობის კაცნი გალადა რაცხვენ, ვისაც სისხლი მართებს, იმისი სისხლი აიღონ. ამას მოჰყვება და ახლა მეორე გვარეულობის კაცი პირველსა სდევნის და ასე ამგვარათ ერთი გვარი მეორეს ემტერება. ეს გარემოება თუმცა სხვა და სხვა

---

*) «ივერიის» 23 ნომერში წერილის «ოსმალოს საქართველო» და იმაში არის შეცდომა: გვერდი 6, პირველ სვეტში, მე-30 სტრიქონში: «ქსანეთის ანუ აცუნდის მთა» — უნდა იყოს «ქსანეთის ანუ პონტოს მთა». იქვე სტრიქონში: «უმაღლესი 1000 ფუტამდე აუწევს» უნდა იყოს: «უმაღლესი 10,000 ფუტამდე აუწევს».

გვარეულობაში მტრობას აგდებს, მაგრამ მეორეს მხრით ერთის გვარის კაცთა ერთმანეთთან ძალიან აახლოვებს. ხოლო ჩვენდა სასიამოვნოთ უნდა ვთქვათ, რომ სისხლის ჩამოვარდნა ხშირი არ არის, თუმცა კი მაინცა და მაინც არის. ეს ჩვენ მოვიხსენეთ, როგორც მიზეზი ერთის გვარის ოჯახთა დაახლოვებისა.

არის კიდევ მეორე მიზეზი: მარტივი, უბრალო, წაუხდენელი და გაურყვნელი ხასიათი ოსმალოს საქართველოს ხალხისა. დავისა და ძმების სიყვარული, ჭინჭყლიანობა ერთმანერთის წაცილება, შური, გულღვარძლიანობა, მუქთა-მჭამელობა და ამათგან დაბადებული ათას გვარი ბიწიერება და სამაგლობა ხალხში იშვიათი შემთხვევაა. პირ იქით მხნეობა, შრომის მოყვარეობა, ძმობრივი სიყვარული, ერთმანერთის შემწეობა, გულწრფელობა, პურადობა, პირობის გაუტეხლობა და ასრულება, ეს უკველი საყვარელის და პატიოსანის ზნის ხალხად ხდის ჩვენს დაშორებულ ძმებსა. რასაკვირველია, საცა ამისთანა ზნის ხალხია, ერთის გვარეულის ხალხის ჩამომავალს კაცებსაც ერთმანერთის სიყვარული, ერთობა და პატივისცემა ექნებათ.

სწორედ ეს არის მიზეზი, რომ რუსეთის საქართველოში მოსახლეთ სახლი-კაცების მოყვრობას არ ივიწყებენ და როდესაც ღონისძიება აქვთ, შემთხვევას არ დააგდებენ, რომ სახლი-კაცი არა ნახონ. გაგვიგონია ესეთი შემთხვევა, იქაურ კაცს გვარი შეეტყოს შემთხვევით სამძღვართან ახლოს მეოთვ-კაცისა, გადმოსულიყოს და ან შვილი მიეგზავნოს სახლი-კაცის სანახავად და მოსაკითხად;—ჩვენის მხრის კაცს კი არა სცოდნოდეს. ან კიდევ ისეთი შემთხვევა ყოფილა, რომ მხოლოდ გვარი შეეტყოს სამზღვარს იქითა კაცსა და აქეთა მხრის კაცის სანახავათ თვითონ წამოსვლა ვერ შესძლებიყოს და თავისთან მიეწვიოს, ნახვა მსურსო. გურულებს და ქობულეთლებს ერთმანერთში მისვლა-მოსვლა ხომ უფრო გახშირებული აქვთ, როგორც ახლო მეზობლებს.

სამწუხაროთ ჩვენდა გურულებს გარდა სამზღვარს აქეთა გვარეულობანი არ უჩენენ ისეთს პატივისცემას და სიყვარულს სამზღვარ იქითა საქართველოს თავის სახლის კაცებსა, როგორც სიმართლე მოითხოვდა. სიყვარულს და მეგობრობას, სიყვარული და მეგობრობა უნდა. თუ ამისთანა პასუხს არ გავცემთ, ჩვენთვის დიდი სირცხვილი და სამრახისია. იქაური სახლიკაცი ჩვენებურს იწვევს, იპატიჟებს, კაცი გამოუგზავნია და ჩვენ პირს ვარიდებთ; ან აქეთ გადმოსულა და ჩვენ მარტივის, შინაურულათ მოკვრულათ მიღების ნაცვლად, ცივათ ვეპყრობით, მედიდურათ შემოგვყავს სახლში, თითქოს სამადლო საქმეს ჩავდიოდეთ, თითქოს ვამწყრალებთო. ამისთანა მოპყრობა, რასაკვირველია, ჩვენი დასამცირებელი საქმეა, ჩვენს გულწუწკობასა აჩენს და პატიოსანის გრძნობით აღვსილ კაცს გულს ვაურვებინებთ, ძმობაზე გულს უტეხთ და დაშორებასა ვნერგავთ. როდესაც სამზღვარს იქითა კაცი გვიწვევს, და ჩვენ პირს ვარიდებთ, ეს მეტად დიდი დანაშაულობაა. გაგვიგონია, რომ როგორც სამსახურის კაცს ზოგს მორიდებიათ გადასვლა და სახლიკაცის ნახვა. ეს სწორედ საცინელი ამბავია, ამიტომ რომ ძველ დროში თუ სამზღვარზე გადავსლა დიდ დანაშაულობათ მიაჩნდათ, ესლა პირ-იქით უკველს ცოტაოდე განათლებულ კაცს თითქმის ვალად მიაჩნია სამზღვარს გარეთ გასვლა და უცხო ქვეყნების ნახვა. ამოდენა ჩინოვნიკობა და ვაჭრობა სულ სამზღვარ გარეთ არ გადიან და გამოდიან? ამ გვარათვე უკველის ქვეყნის კანონები, გვარეულთა სახლიკაცობას და ნათესაობას დიდს პატივსა სცემს.

სახლიკაცების მისვლა-მოსვლა, როგორც საზოგადოთ ქართველობისათვის სასარგებლო იქნება, აგრეთვე მოსამზღვრე მეზობლობისათვისაც სასარგებლო იქნებოდა. სახლიკაცების დაახლოვება სხვებსაც დაახლოვებდა და მისვლა-მოსვლით ვაჭრობა გახშირდებოდა; ამით ხალხში სიმდიდრე შევიდოდა, გზები გაკეთდებოდა, ერთმანერთისაგან ცხოვრების გამოსაყენებელს ისწავლიდნენ, საზოგადოთ ხალხის მდგომარეობას აამაღლებდა და ქართველებში ძმობა ჩამოვარდებოდა. სამზღვარზე ცარცვა, ქურდობა, კაცის კვლა და სხვა ავკაცობა გაქრებოდა და მშვიდობიანობა იქნებოდა ისე, როგორც განათლებულ ქვეყნებში სამზღვარზე მცხოვრებელ მეზობლებში არის ხოლმე. ომიანობის დროს თუ საომრად გამოყვანილი იქნებოდნენ ეს მოსამზღვრე მეზობლები, ომს მხეცურ ბრძოლათ მაინც არ გახდიდნენ და იომებდნენ ისე, როგორც საზოგადო ომის კანონები მოითხოვს: უიარაღო კაცი ხელუხლებლად დარჩებოდა, სახლი და ყანა არ დაიწოდა, ტყვეთ ჩავარდნილ და დაჭრილ კაცს არ მოკლავდნენ და აღარ გასტანჯავდნენ.

აი რა მიზეზია, რომ გვარეულთა ერთობას და კავშირს დიდ მნიშვნელობას ვაძლევთ. იმათს ერთობას

სასწაულით მომქმედი ძალა კი არ ექნება, მაგრამ იმდენი ღირსება აქვს, რომ დაშორებულ ძმების დაახლოვებას და მისვლა-მოსვლას საკმაოდ მკვიდრს საფუძველს დაუდებდ.

ერთის მხრითაც ჭკუისათვის სასწავლებელ საქმესა ვხედავთ. სამზღვარს იქითა ქართველი რამ სიშორე ადგილიდამ დაეძებს და სწყურიან თავის გვარეულის სისხლის კაცი ნახოს, შრომას ეწევა ამისთვის. არც უნახავს ეს კაცი, არც იმის ავ-კარგი გაუგონია, მხოლოთ გაუგონია, რომ ჩემის მამა-პაპის სისხლი უბრუნავს და იმისი გვარ-სახელი ჰქვიაო. აქ სამზღვარს აქეთა ქართველები, ერთს სოფელში, სახლი-სახლთან, გვერდი-გვერდ მცხოვრებელნი ისეთს დავესა ვმართავთ, რომ საშვილიშვილოდ ჩვენი ჩამომავალნი ერთის სისხლისანი ერთმანერთს გადავკიდოთ, მტრობა ჩამოუგდოთ და ერთმანერთის სისხლის მსმელნი გავხადოთ. რა განსხვავებაა! სამზღვარ იქითი ქართველები უფრო ძველის პატივცემულის ზნისანი ყოფილან. ძველ ქართველობაში ერთს გვარეულობაში მტრობა არ იქნებოდა, მართლა ნამდვილი ოჯახობა ჰქონდათ, ნამდვილი სახლი-კაცები იყვნენ ამიტომ მართლა რომ ოსმალოს ქართველთა გვარეულობის სიყვარული ჩვენთვის სამაგალითოდ სასწავლებელი და მისაღები ყოფილა.

რაც იქ გვარნი არიან თავადთა და აზნაურთა, დღეს ჩვენში იმათგანი მრავალი ქართლ-კახეთში, იმერეთ-გურიაში და სამეგრელოში მოიფენილია. ეს გარემოება ადვილად ასახსნელია იმით, რომ სხვა და სხვა დროს სხვა და სხვა გარემოების მიზეზით ზოგნი აქედგან გადასულან და ზოგნი იქიდგან გადმოსულან. ბევრს მათგანს ახსოვს როდის, რა მიზეზით და რომელ თაობას თავი დაუნებებიათ თავის ბინა-ადგილისათვის. ამ ამბებში ისტორიული ამბები ხშირია და ამის გამო ზოგიერთის გვარეულობის მოთხრობა მთელის მხრის ისტორიათ გამოდგება. ზოგიერთი ამ გვარი რამდენიმე მოთხრობა ჩვენს მიმოხილვის წინა წერილებში გვქონდა.

აქ მოგვაქვს გვარნი ჩვენებულნი პატივცემულის თ. რაფიელ ერისთვის სტატიაში: «ცნობანი ოსმალოს საქართველოზე.“ (ნახე „დროება“ 1875 წ. №№ 80 და 81.) იმასვე ეკუთვნის აგრეთვე აღნიშვნა გვარებისა, რომელნიც სამზღვარს აქეთაც საქართველოშიაც სახლობენ, რომლის ჩვენებისათვის გულითად მადლობას ვუძღვნით.

ქობულეთში: თამაზიშვილი, იმნაიშვილი, ბეტუკ შვილი, მაქვანაძე, ხუტულაიშვილი, დადიანიშვილი (ამას შემდეგნი აგრეთვე გურიაშიაც არიან) ჯაში, დუმბაძე, გუგუნავა, ჭყონია; (აგრეთვე გურიაში და ქვედა აჭარაში) თავდგირიძე; (ქართლში) ქარცივაძე; (იმერეთში) გეგიძე; და სხვანი.

ზედა-აჭარაში: შავაძე, ლემიძე, კარჭალაძე (ქართლის) ხიმშიაშვილი, იმნაძე, კორინთელი; (გურიის) ნაკაიძე, ბერიძე, (იმერეთის) მიქელაძე; და სხვანი.
ქვედა-აჭარაში: (აგრეთვე გურიაში) თავდგირიძე, სურმანიძე.

შავშეთში: ათაბაგი, თევთიძე, გუჯაბიძე, ღოთაიძე, პაჩაძე, ყომაშიძე, სოლაყიძე, სადარიძე, ლასურიძე, ბასილაძე, წიქარიძე; (ქართლის) ერისთავი, ხიმშიაშვილი, გოპაძე, ავალიშვილი, შალიკაშვილი; (გურიის) ბერიძე; (იმერეთის) თურმანიძე; და სხვა.

არდანუჯში: კავკასიძე (არიან ქართლში, დუშეთში).

ლივანაში: ვაშალიძე, კვირიხიძე, ძველათ მაჭახელას მფლობელი; ზაქარიაძე, გვარელაძე, ირემაძე, ათაბაგი; ათაბაგების ჩამომავალნი აგრეთვე სცხოვრებენ ახალციხეს, შავშეთს სოფელ ოქრობაგეთში, ართვინში; პარხალში ღებრაძე; და სხვანი.

არტაანში: (სომხითის) ორბელიანი.

ფორჩხაში: გოჩანაშვილი, გაგნიშვილი, ბერიძე, ყამიშვილი, ცერცელიშვილი; (ქალაქში) ქართველიშვილი; (ქართლში) ბაიაშვილი, და სხვანი.

ჩაქვში: ბეჟანიშვილი, ქიქავა, სამებაშვილი; (გურიისა) ხალვაში.

ბათუმში: (აფხაზეთ-სამურზაყანოსი) შარვაშიძე; (სამეგრელოსი) ქორქია, კოკაია, ღვამიჩავა.

ჭანეთში: მოურავიშვილი, შაინ-ოღლი (აფხაზეთის) ყორდანია ანუ ყორდან-ოღლი.

უნდა დავიხსომოთ, რომ გვარები სულ ცოტა ვიცით და ეს მოხსენებულნი თითქმის სულ თავად-აზნაურთა გვარებია.

ბ) ქალაქები და სოფლები

წიგნიდამ „სამი თვე ოსმალოს საქართველოში“ და რაფიელ ერისთავისა ზემოხსენებულ წერილიდამ მოგვაქვს სახელწოდება ქალაქებისა და სოფლებისა.

ქობულეთის მაზრაში: ქაქუთი, ჩახათი, ტუემაგარა, ხინო, (აქ საეპისკოპოზო ეკკლესია ყოფილა), ხუცუბანი (საყდარი თეთროსანი) ზემო ქობულეთი, ქვემო ქობულეთი ანუ ჩურუქ-სუ, ცისისძირი ანუ ქაჯეთის ციხე, დაგვა, ზერაბოსელი და სხვანი.

ბათუმის მაზრაში: ბათუმი, ქალაქი ნავთსაყუდელი; ჩაქვი,—გოგირდის თბილი წყლებია; კახაბერი, მარადიდი და სხვანი.

ლივანის მაზრაში: ჭოროხის მარჯვენა მხარეს, ართვინი, ქალაქი 2000 სახლით, აქედამ ბათუმამდე ჭოროხი ნავით სავალია; არტანუჯი—500 კომლით, უფრო სომხები არიან. სოფლები: ბაცა—25 კომლი, კაპარია, ოპიზა (12 კომ. ძველი ეკკლესია ნათლის მცემლისა), ფორა, ჩიმარეკი, წყალ-თბილა, ბერთა, დოლისხანა (საყდარია და ჩინებული ყურძენი მოდის), ტოლგომეგლეზე, კვარაყლანი, ვაზრია, ბალიბი, თაოსკარი (თავსკერტაოსკარი), შუახევი, კლასკური, ოთინგო (თბილი წყლების), კინცხურეთი, ზედობა, ხება, იდრიკა, ხინწკანა, ოლნაური.—ჭოროხის მარცხენა მხარეს: ორჯოხი, ცხრია, გულჟანი, ნაყვია, ხათილა, ნალვარეკი, ომანა, დამპალა, ნაზნარი კაპარია, წითლისაგარა, ყლო, სკელიანა, ხავთი, ხარავლი, შავგულა, კართხელი, არაბეთი, ანიზა, მუკერი, ჩარა. აგრეთვე ჭოროხზე და არტანუჯ-ლივანაში: ბაცა 25 კომლი, ბერთა, წეფთა, პარხალი ანუ პარხლი (200 კომლი, ძველი მშვენიერი ეკკლესია) ბოჩხა 80 კომლი, ჩათი 20 კომლი, ჩიკულითი, ფეთობანი, ნორგიალი, ჩრდილი, პორტა (საყდარი), ხერთვისი, ლონგოთის ხევი, ხევა, გულომანა, გულიჯე, მეცეკილი, უცოთი, არაშენი (საყდარია), ტანთოზი (დიდი საყდარი), ხაპთახორი, ღვიძისხანა (ძველად ვერცხლის მადანი ყოფილა), უნისხევი, ვარტელია, ხემეგროტი, მაცალახეთი, იშვინარი, სახრე, კლარჯეთი, თუნთია, ბიყა, ანაკეთი, ანჭკორა, ოპისჭალა და სხვანი.

შავშეთის მაზრაში: იგლეტი, ყვირილა—18 კომლი, ახალდაბა—90 კომლი, შავშეთი—წიკლობანი, ცისია, სოფორო, საჭედი, მორგული, ბალვანა, კომლიეთი, კვატეტრისი, ვერხნალი, ხანთუშეთი, ცეცხლაური, მოროხოზი, ზინდაბა, ცორცელი, იმერხევი—დიდი სოფელი, წყალიმერი, იმხრეული, დიობანა, ივეთი, ჯვარისხევი, მიქელეთი, ჯინალი და ჩისტა (60 კომლი), გარკელუპი, უხედა, წითლეთი, ჩვარები ქვემო და ზემო, გარაგატი, ცისიძირი (50 კომლი), ტბეთი—მშვენიერი ეკკლესია, დაბაკეთილი, სათლე (60 კომლი რომელთაგან სომეხ-კათოლიკე 40 კომლი, სომეხი გრიგორიანი 10 კომლი, დანარჩენი ქართველი მაჰმადიანი), წლობანა, დაბაწვრილი, მორგული, შავქედი, ქუჩენი, ბერია, ველი—12 კომლი, ოქრობაგეთი (ათაბაგები ცხოვრებენ, 70 კომლი სომეხი), მერია, აგარა, მამანელისი, ფხიკიური (25 კომლი სომეხ კათოლიკე), ჭალეთი, სვირევანი (სურევანი 20 კომლი) ინსოეთი, სინგოტი, შინდობანი, ანგლია, ჩივთლური, მოკთა, კარსინა, კონტრომი, სამწყალი, გვარამენი, ბაცა ანაკერტი, ანჩა (აქედამ მოტანილია პირიღვთისის ხატი ტფილისს)—ბამგირეთის ხეობაში სოფლები: ზიოს, ბამგირეთი, აგარა, ანდრია წმინდა, ჩიხორი, ჩისის ხევი, დაბა, უბე, ზაკიეთი, დევაძე, ხემწვრილი, ბელთიეთი და სხვანი. სულ ითვლება 58 სოფელი; ამათგან საკუთრად შავშეთში 36 სოფელია, რომელშიაც 2000 კომლამდე ირიცხება ანუ 14 ათას სულამდე.

აჭარაში: ქვედა აჭარაში: ქედა, სალორეთი, მერისი და მრავალნი სხვანი. ზედა აჭარაში: ორჯომი—300 კომლი, ჭვანა, დიდ-აჭარა—120 კომლი, დანისპარაული, ბელდეთი, პაქსამები, დიაკონისძეები, ხულო (თავი სოფელი, არის შკოლა 50—60 შაგირდით. 7 დუქანია), სხალტა (ძველი სატახტო ადგილი, ძველი ეკკლესია), ჩაო—50 კომლი, ვაპტია, მერდე—20 კომლი, ფუშრუკეული—10 კომლი, კოლოთა, ხიხაძირი—20 კომლი, სუკანა, ქვემო და ზემო თხილვანა, მანსუო, ბაკო—12 კომლი, ნიგაზეული, მირეთის ხევში: ციახე, დაჩიძეები, ჯიმიმაური, პაპაშვილები, მახალაკიძეები, მაწყვალთა, კობალთა, კარაპეტი, თუანი, კიძინიძეები და სხვანი.

ჭანეთში: დიდი და პატარა ხემშინი, გონია, არხავე 200 კომლი, ხოფა—150 კომლი, კისე—120 კომლი, პირონიტი—40 კომლი, ათინა—40 დუქანი, ორთა ხოფა, ვიწე, გარმონია—200 კომლი, დერბენდი—95 კომლი, აბუ-ულიე—140 კომლი, მარადიდი ჭოროხზე, ჩხალა, ჭადა, კაპისრა, ვიჟე, ჩინგით, ლანგრე, ბულები, აბუისლალიმანი—25 კომლი, მაკრიალა და სხვანი.

საჭირო იყო ზემოხსენებული ქალაქები და სოფლები ხეობების რიგით ჩამოგვეთვალა, მაგრამ აქამომდე დაწვრილებითი კარტა არა გვაქვს და ამის გამოსვლის ჩამოთვლას უნდა დავკმაყოფილებულვიყავით.

პ. უ.

---

## საქართველო

(ისტორიული და ეტნოგრაფიული გამოკვლევა)

### II

(შემდეგი *)

ზემოდ მოვიხსენეთ მცირე აზია. ეს მხარე ძველად ისე ყოფილა დაკავშირებული კავკაზზე და თვით საქართველოზე, რომ აქ საჭიროა იმას თვალი გადავავლოთ. მცირე აზია, რომელიც ახლა საზოგადოდ ცნობილია ა ნ ა ტ ო ლ ი ა დ, X საუკუნის მწერლის კონსტანტინე პორფიროგენეტის თქმით—ანატოლიის თემად, le thème anatolique (Vivien de Saint-Martin, Nouveau Dictionnaire de Géographie Universelle, 1877, p. 133.), შეადგენს ნახევარ კუნძულს და თითქმის ჩვენ საზღვრად მდებარეობს. სამის მხრით ის შემოზღუდულია საშუალო-ქვეყნის ზღვით, ეგეის ზღვით ანუ არხიპელაგით, პროპონტიდით ანუ მარმარილოს ზღვით და პონტის ანუ შავის ზღვით. დანაშთენის მხრით იმას უძევს ხმელეთი: ნაწილი სომხეთისა ეფრატის სათავეებში და მესხეთის მთა. მცირე აზია იყოფება თავრს-აქეთ აზიად და თავრს-იქით აზიად. თავრის მთა მესხეთის მთის შუამავლობით უერთდება თვით ჩვენ კავკასს და მთელს სივრცეზე მოფენილია, როგორათაც ყველა ადგილები მცირე აზიისა, ვულკანებით, რომელნიც ჰმოწმებენ, რომ ის ცეცხლის მოქმედებით არის ამოხეთქილი დედა-მიწის გულიდამ. მცირე აზია ბუნების თვისებით, ჰავით და ნაყოფიერებით დიდად მიემსგავსება კავკასის მხარეებს. შესანიშნავნი იმის მდინარეთაგანნი არიან: უმთავრესი სიდიდით და ისტორიულის მნიშვნელობით ჰალისი ანუ ახლანდელი ყიზილ-ირმაქი, თერმოდონი, ირისი და სანგარიოსი. მცირე აზიაში ძველადვე დამყარებულა ორ-გვარი შთამომავლობა. ერთს შეადგენდა სემიტური გვარი, მეორეს არიელი გვარი. სემიტნი დაბინავებულან ჩრდილო-დასავლეთის მხარეში; არიელნი კი აღმოსავლეთ-სამხრეთად.

აქ მოვიხსენებთ მხოლოდ იმ ტომებს, რომელნიც ჩვენ ტომთან მცირედ თუ მეტად დამოკიდებულნი ყოფილან.

სემიტები ანუ უკეთ ვთქვათ, არამიელები იქ ადგილ-ადგილ შერეულნი იყვნენ ერთმანეთში, ადგილ-ადგილ კი შეერთებულნი. სახელი ა რ ა მ ი, ა რ ა მ ი ე ლ ი წარმოსდგა ებრაულის ა რ ა მ-იდამ, რომელიც ჰნიშნავს მთას, მთიანს ადგილს. არამი უძველეს დროსვე მისთვისებია მცირე-აზიის აღმოსავლეთ ნაწილს და საშუალო-ქვეყნის ზღვის მოსაზღვრე თემებს ეფრატამდე და ტიგრამდე. მცირე აზიის არამიელებში ორის-სახსოვარნი არიან: კაპპადოკიელნი, რომელნიც მკვიდრობდნენ ზღვის პირად, მთა ადგილებში და საშუალ ეფრატისა და ტიგრისა. ქრისტეს შობის წინ მერვე საუკუნეში კაპპადოკიელებში დაამყარა თავისი უფლება და ენა მათმავე მონათესავე ტომმა სირიელებმა. ეს ენა ალექსანდრე მაკედონელის შემდეგ განდევნა იქიდამ ბერძნულმა ენამ. შემდეგ ამ მხარეს უწოდდნენ: სპარსები კაპპადოკიად, რომაელები კი ზღვის პირ-მხარეს პონტის კაპპადოკიად, მეორე სახელოვანს არამეულს ტომს მცირე აზიისას შეადგენდნენ კილიკიელები, რომელთაც კაპპადოკიის მხრივ თავრივე ჰსაზღვრავდა და ასსირიელთ ბრძანებლობას ქვეშ ორივე ეს ტომი ერთ თემად იყო შეერთებული. ახლა კილიკიაში უმთავრესობს სომხური ენა, რომელიც აქ ქრისტეს შობის შემდეგ მე X საუკ. გავრცელდა. მესამე შესანიშნავ ტომად ირიცხებოდნენ კარიელნი, რომელნიც ბინადრობდნენ სამხრეთად მცირე აზიაში. კარია ძველად იწოდებოდა ფინიკიად. თვით კარიელების ერთ ნაწილში ფინიკიელი ენა იყო გავრცელებული. საზოგადოდ უნდა ვთქვათ, რომ მცირე აზიაში ფინიკიელებმა თავისი კვალი სხვა და სხვა მხარეში დასტოვეს: ნაწილი ლიზიისა იწოდებოდა ფინიკიად. როდოსი და სხვა საშუალო-ქვეყნის ზღვის კუნძულები იმათგან იყო კოლონიებად დაფუძნებული. ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ პირველი ცნობები იმ ადგილებზე, სადაც ფინიკიელებს მსვლელობა და ალებ-მიცემობა ჰქონიათ, იმათგანვეა შეკრებილი.

არიელთ ტომთ რიცხვში მიზიელებს და ლიზიელებს ეპერათ ჩრდილო-აღმოსავლეთი მხარე.

---

*) „ივერია" № 43.

სტრაბონი ორსავე ამ ტომს ჰხადის ფრიგიელებად. საზოგადო ჩვეულებისამებრ ფრიგიელის ტომისა იმათ ჰქონდათ საერთო ტაძრები. პირველად იმათ მხარეშივე დაერქო ერთ ადგილს აზია, რომელიც იქიდამ ჯერ მთელს ანატოლიას მიეთვისა, მასუკან მთელს აზიას. თვით ფრიგიელებზე ეს უნდა ვთქვათ, რომ მთელს მცირე აზიაში ისინი უფრო მომეტებულად იყვნენ გავრცელებულნი, ვიდრე დანაშთენნი ტომნი. ფრიგიელები იყვნენ გაბნეულნი მცირე აზიის შუა-ადგილებში ჰალისის მდინარემდე და სახლობდნენ მჭიდროდ. იმათისავე ენით ჰმოწმობენ მათს ინდო-ევროპიულს შთამომავლობას: ამ ენის სიტყვები და გრამმატიკული აგებულობა მოგვაგონებენ ელლინურს, ძველ ლათინურს, ტევტონურს და სხ. ფრიგიელები განვითარებულან განათლების წარმატებით. სანგარიოსის სათავეებში უჩვენებენ ძველს სასაფლაოებს და სხვა და სხვა გვარ ძეგლებს ფრიგიულის წარწერაებით. თვით იმათი ალფავიტი, რომელიც ახლა თითქმის გარკვეულია, ელლინურს ალფავიტს ემსგავსება [8]). ფრიგიელების მონათესავედ ირიცხებიან სომეხნი. ამის საბუთად მოჰყავთ ჰეროდოტე, რომლის თქმითაც სომეხნი ფრიგიის კოლონიას შეადგენდნენო [9]). სომხურს ენაზე ახალმა გამოკვლევამ დასდო შემდეგი დასკვნა. მისი საძირკველი და გრამმატიკა ცხადად გვიჩვენებენ მისს ნათესავურს კავშირს ზენდურს ენასთან, თუმცა ამასთანავე ისიც უნდა ითქვას, რომ მრავალ-გვარი კვალია იმისს ლექსიკონში როგორათაც სემიტურის ენისა, აგრეთვე ტურანულისა. მიზეზი ცხადია: დროთა განმავლობაში სომხებზე უმოქმედნი ისტორიულ გავლენას სემიტებისას და ტურანელებისას და ამისათვის შეუძლებელი იყო, რომ ამ გავლენას არ დაეტოვებინა თავისი კვალი იმათ ენაში [10]). თვით სახელწოდება სომხებისა ა რ მ ე ნ ი, ა რ მ ე ნ ი ა წარმომდგარია ა რ ა მ-იდამ, რომელიც ზევით მოვიხსენიეთ. ამტკიცებენ, რომ ვიდრე სომხები დაემყარებოდნენ ახლანდელს არმენიაში, ეს სახელი არქმევია იმ ტომს, რომელიც მათ წინად იქ სახლებულა და ამ უკანასკნელის სახელწოდება მიუთვისებიათ იმათაც [11]).

რაღა თქმა უნდა, რომ მცირე აზიის ყველა ტომებში უმთავრესს ტომად უნდა ითვლებოდნენ პელაზგები. მართალია, ეს სახელი ძველადვე ამოიკვეთა, მაგრამ მათი მითოლოგიური გარდამოცემა მათ შთამომავალ-ტომში ელლინებში დარჩა. ზოგიერთნი ამტკიცებენ, ვითომც პელაზგებს ზემო აზიიდამ ურალზე გამოუვლიათ და ვითომც პირველი ბინადრობა იმათ დაედვათ ჩვენის კავკასიის ჩრდილო-მხარეში. პელაზგების მითი ანუ ზღაპარ-თქმულება მათ წინაპრად უჩვენებს იაფეტს, რომელიც კავკასიაში თურმე ცხოვრობდა. იაფეტისა და აზიის შვილი პრომეთე კავკასის ქედზე თურმე ყოფილა მიმსჭვალული. აქვე ცხოვრობდა პრომეთეის შვილი და ელლენის მამა დევკალიონი. ვიდრე პელაზგები ევროპაში მიიკრიფებოდნენ, იმათი მოგზაურობა უფრო პონტის ზღვის ჩრდილოეთად ყოფილა; ნაწილი მათი კი დაბინავებულა მცირე აზიის სხვა და სხვა ადგილებში დასავლეთის მხრით. პელაზგების მითი წარმოგვიდგენს ყოფა-ცხოვრებას და მოღვაწეობას ძველის გმირებისას, ბელლეროფონისას, თეზეისას, ჰერკულესისას და არგონავტებისას. ამ მითში მოხსენებულნი დიარს-სახსოვარნი არიან ამაზონები. მითი გვიჩვენებს იმათ მეომარ დედაკაცებად, რომელნიც თერმოდონის მთა-ღელეებში თურმე მკვიდრობდნენ და რომელთაც ჰქონდათ სამი ქალაქი: თემის-ყური, ლიკასტია და ხადესია. იმათგანვე თურმე დაფუძნებული ეფესი თავისის ტაძრით, კუმესი და სმირნა. ზოგნი მეცნიერნი ფიქრობენ, ვითომც ამაზონები შეადგენდნენ ინდო-ევროპიულს სკვითებს, ვითომც იმათ კავკაზი გამოუვლიათ და მცირე აზიაში დაბინავებულიყვნენ, ვითომც ცხენოსნობაში და შვილდ-ისრის ხმარებაში დიად დახელოვნებულნი ყოფილიყვნენ, ლაშქრობაში თავიანთ ქმრებს არა ჰშორდებოდნენ და ვითომც აქედამ წარმოსდგა ზემოდ მოყვანილი თქმულება ამაზონებზე [12]).

იმ სივრცეზე, რომელზედაც, მითის თქმულებით, განბნეულნი იყვნენ ამაზონები და თვით მათ მეზობე-

---

[8]) Maspero, Histoire ancienne des peuples de l' Orient, Paris, 1876, p. 239—240,604.

[9]) P. Giquet, Hitsoire d' Herodote, Pa,ris 1870, VII, 406.

[10]) Momsen, Histoire romaine, trad franç., 1866 V, 263—Vivien de Saint-Mart. Nouveau Diction. de Géogr. Univer., p. 215.

[11]) Victor Langlois, Collection des historiens anciens et modernes de l' Arménie, Paris, 1867, I, 22 n. 1.

[12]) Viv. des —Mart. Histoire des découvertes géographiques, Paris, 1845, II, 157—250.

ლად მკვიდრობდნენ: ტიბარენნი, მაკრონნი, მოსხნი და კოლხნი. რადგანაც ამ ხალხებს თითქმის საზოგადოდ ქართველ ტომად ჰხადიან, ამისთვის აქ უნდა მკითხველს ვუჩვენოთ თუ რას მოგვითხრობენ იმათზე უძველესის დროს უცხო-ტომთ თქმულებანი და რა აზრს მიაწერენ ამ თქმულებათა ჩვენს დროში. აქ უნდა ვთქვათ, რომ ძველის ცნობების შემწეობით ახლა ადგენენ კიდეც ისტორიულ ატლასებს უძველეს ნათესავთ გეოგრაფიულს მდებარეობაზე. ამ ატლასებში ხსენებულნი ტომნიც არიან დაიწყებულნი. ამ გვარი ატლასები ჩვენ ორი გვაქვს ხელად: ერთი ეკუთვნის ფრანსუა ლენორმანს, არხეოლოგიის პროფესსორს პარიჟში, მეორე მასპეროს პროფესსორსავე ეგვიპტის ენისას და არხეოლოგიისას Collége de France-ში. პირველი შეადგენს დამატებას ლენორმანის შრომისას Manuel d' Histoire ancienne de l' Orient, რომელიც გამოცა სამ წიგნად და თვით შეიცავს XXIV კარტას. მეორე ატლასი, შემდგარი ცხრა კარტით, ჩართულია მასპეროსავე ისტორიაშ. Hisoire ancienne des peuples de l' Orient. ორივე ატლასი ერთ-გვარ წყაროებზეა აშენებული და ერთი მეორეს ეთანხმება. იმათში უფრო სრულია ლენორმანის „Atlas d' Histoire ancienne de l' Orient anterieurement aux gueres médiques." ამას გარდა ამ შრომაში ავტორი თვითოეულის კარტის წყაროებსაც უჩვენებს და აღნიშნავს გზებს, რომლითაც ძველ ტომებს ჰქონიათ მსვლელობა. ჩვენის საგნის გასარკვევად საჭიროდ ვრაცხთ აქ ზოგიერთი ცნობები გამოვკრიბოთ ლენორმანის ატლასიდამ.

პირველი კარტა წარმოგვიდგენს ევროპას და აზიას იმ დროს, როდესაც ქვეყნის პირს ჯერ აწინდელი გეოლოგიური მდგომარეობა არა ჰქონია მიღებული. „ეს კარტა, დაფუძნებული გეოლოგიურს ცნობებზე, ამბობს ლენორმანი, გამოგვიხატავს ევროპას, აზიას და აფრიკას მაშინ, როდესაც პირველად აღმოჩენილა ადამიანის კვალი დედა-მიწის გულში. საჰარის ზღვა, ვაკე-მინდვრები გერმანისა ჯერ ისევ ოკეანით არის გარემოცული. დიდი ბასსეინი (მთა-ღელეები) არალო-კასპიისა და შავი ზღვა შეერთებულნი არიან; სათავეები უმთავრესის მდინარეებისა არ შედგენილან; ევროპა და ამერიკა ერთი-მეორესთან არიან გადაბმულნი... ამავე კარტაზეა მოხაზული თვით ის ადგილები, სადაც ძველი გარდამოცემა უჩვენებს სხვა და სხვა ტომთ პირველ ადგილ-მამულს.

მეორე კარტა შეეხება იმ დროს, როდესაც, ძველისავე თქმულებით, ევროპა, წინა-აზია და ჩრდილო-აფრიკა მოიფინნენ ადამიანით, როდესაც არიელნი ჯერ ისევ ოქსუსის მთა-ღელეებში მკვიდრობდნენ, როდესაც ხამიტებს და თურანელებს ეპყრათ სხვა და სხვა მხარე, შემდეგ არიის ნათესავისაგან დაშორილი, როდესაც სემიტები ჯერ არ იყვნენ სამხრეთს არაბეთში და როდესაც ეგვიპტის უძველესი მეფეები გვიჩვენებენ მოშავო მოდგმას, კატარაკტებამდე გავრცელებულს. შავი ზღვა და კასპიის ზღვა იმ მდგომარეობაში იყვნენ, რა მდგომარეობაშიაც ახლა არიან. ჩრდილო და სამხრეთი მხარეები კავკაზისა ჯერ დასახლებულნი არ არიან. ამ დროს უჩვენებენ 2500 წლის წინათ ქრისტეს შობამდე.

მესამე კარტა შეიცავს ეთნოგრაფიას დაბადებისას (მე-X თავი: ნოეს შთამომავლობა). აქ მოსოხს უპყრია მთელი ის სივრცე, რომელიც მიჰყვება შავი-ზღვის პირს ჰალისის მდინარით ვიდრე თობელის საზღვრამდე. თობელს უჭირავს აღმოსავლეთი პირი იმავე ზღვისა და ის ადგილები, რომელნიც მტკვარსა და რახს ანუ არაქს შუა მდებარებენ. მოსოხის მოსაზღვრეა აგრეთვე თორღამა და ამის სამფლობელოს შეადგენენ ტიგრის სათავე და არაქსის მარჯვენა მხარე. თუმცა ამ კარტის საფუძვლად ლენორმანი უჩვენებს მხოლოდ მე-X თავს „დაბადებისას," რომელიც მოსეს შეუდგენია მე-XVI საუკ. ქრისტეს წინ, (მუხლი 2 და ჳ: ძენი იაფეთისნი გამერ და მაგოგ, და მადაიმ, და იოავან, და თობელ და მოსოხ, და თირას და ძენი გამერისნი ასქანაზ და რიფათ და თორღამა), მაგრამ იმისვე წყაროდ უნდა მიგვაჩნდეს აგრეთვე წინასწარ-მეტყველი ეზეკიელი (მე VI საუკუნეში). იხილე თავი XXVII. მუხ 14; XXXVIII, 3; XXXIX, 1.

მეშვიდე კარტა ანუ ეგვიპტის გეოგრაფია თუთმეს მე-III-ს დროს (1600 წ.) გვაცნობს ნომენკლატურას (სახელებს) თემებისას, რომელიც ამოიკითხვის იეროგლიფურს მწერლობაში — «მუშანე, დაბადების მოსოხი, და რემენე ანუ არმენი." ორსავე ამ ნათესავს აქაც იგივე გეოგრაფიული მდებარება აქვს, როგორც წინა კარტაში. აქ, ლენორმანის აზრით, მუშანე შეადგენს თეთრს ნათესავს (არიელებს), რემენე კი მოშავო ფერს ნათესავს (ეფიოპელნი, კუშიტნი და ნეგრნი) და როგორც სჩანს ლენორმანის ფაკტით, რემენების მხარე ძველად ჯერ ისევ სემიტის გვარს უჭირავს და არა არიელ ტომს ანუ ფრიგიელების მონათესავე სომხებს.

მეთერთმეტე კარტა მოჰხაზავს გეოგრაფიას ასსირიის მეფეებისას. „ამ კარტის ნომენკლატურაც ის არის როგორც გამოსთქვამდნენ ასსირიელები. აქ ნაჩვენებია სამ-რიგი საზღვრები ასსირიისა: ა) ბინლიხუსისა და სამურამათის დროს (905—828), ნინევის პირველ დარღვევამდე; ბ) თიგლათფალასარ მე-II დროს (780—821), როდესაც დაფუძნდა, უფრო მჭიდროდ ვიდრე წინათ, მეორე მონარხია ნინევიისა; გ) ესარ-ჰადდონის დროს (681—617), როდესაც სარგონიდების მონარხია აღვიდა უმაღლესს წერტზე. ამ კარტაზეა: შავი-ზღვის სამხრეთით თაბალი, თაბალს შემდეგ მასნაკი, რომელსაც უჭირავს ჭოროხის მთა-ღელეები, შემდეგ მუსკაია, სადაც ახლა ქართლ-კახეთია; გიმირრა (კიმრნი), კავკასის კალთებში საქართველოს მხრით; ილლიბი ალაზან-გაღმა მთებში (Illibi, Illipi ოპპერტის გამოკვლევით არის ალბანია ანუ შემდეგ დაღისტანი. Maspero, Hist., 457 n. 1); ურარტი იწყობა იქ, სადაც ეფრატი და ტიგრი ერთდებიან (Ourarti, Ararti არის არარატი დაბადებისა და ალაროდიანი ჰეროდოტესი (VII,407—Maspero, Hist., 399 n. 2). ახლა ზოგიერთი ევროპის არხეოლოგნი, იმათ შორის ლენორმანი ამტკიცებენ, ვითომც ალაროდიანები იყვნენ ქართველნი, რადგანაც ალაროდიანების ენა ლურსმნებრივს წარწერაებში ვახს გარეშემო წარმოგვიდგენს ქართულის ენის ფორმებს, Lenorm, Lettres Assyriologiques. 1-re série, I, 124—129.

მეცამეტე კარტა გვიჩვენებს იმ სივრცეს, რომელიც უჭირია ორს მონარხიას ქალდეო მიდიისას ნაბუხადონოსორის (ნაბუქოდონოსორის) დროს (604—561). „აქ მიდიელთ და არიანელთ (არიანა) თემების ნომენკლატურა გამოწერილია ბელისტუნის წარწერიდამ. ქალდეველის თემებისა კი ასსირიისა და ბაბილონის მწერლობიდამ. აქ ტიბარენი, ეს უკანასკნელი ტომი დასავლეთის მხრივ, კარგა წინ არის წაწეული ჰალისის მარჯვენა პირიდამ. იმისნი მოსაზღვრენი თავრის მხარისკენ არიან ხალიბნი. ტიბარენებს წინ არიან ზღვის პირად მოსინეკნი, მაკრონნი, მოშიანნი და კოლხნი. იბერნი და ალბანიელნი ცხოვრობენ იქვე, სადაც ამას წინად მოვიხსენეთ. არმენია შეიცავს ეფრატისა და ტიგრის სათავეებს

მეჩვიდმეტე კარტა წარმოადგენს სპარსეთის იმპერიას დარიოსის მეფობაში, ოც სასატრაპოდ დაყოფილს (521—490). ეს კარტა აშენებულია ჰეროდოტეს თქმულებაზე მაშასადამე მისი ნომენკლატურა ეკუთვნის კლასსიკურს გეოგრაფიას. აქ იმ სივრცეზე, რომელიც მდებარებს ჰალისის მარჯვენა ნაპირსა და ტიბარენების საზღვარს შორის, ახლა უჭირავს პონტის კაპპადოკიას. აქ ტიბარენნი, მოსინეკნი, მაკრონნი, მოშიანნი, კოლხნი, იბერნი, ალბანნი, ისევ ისე არიან ნაჩვენებნი, როგორათაც ამას წინად. ხალიბებს უჭირავთ ჰალისის სათავე, ბასიანებს ეფრატის მდინარის სათავე და მათ შემდეგ ამ მდინარეს მისდევენ ალაროდიანნი.

(შემდეგი იქნება)

---

## ბესარიონ ჯაფარიძის

### სურათი

(ნეკროლოგი)

დაუღალელმა, შეუბრალებელმა და განუკითხველმა სიკვდილმა ამ დღეებში გამოაკლო კიდევ, ისედაც დაკლებულსა და დამცირებულსა ჩვენს ახალგაზდობას, ერთი საიმედო და მშრომელი უმაწვილი კაცი. 11-ს ამა ქრისტეს-შობისთვეს, თფილისში, ორი დღის ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ბ. მ. ჯაფარიძე.

ნება მომეცით, უფ. რედაქტორო, თქვენს პატივცემულს გაზეთში ორიოდე ბიოგრაფიული ცნობები მოვიყვანო ასე უეცრად ხელიდამ გამოგლეჯილს, ჩვენი ლიტერატურისათვის არა მცირედს მშრომელს უმაწვილს კაცზე და მით ვაცნობო თქვენს მკითხველებს იმის წაბორული ცხოვრება.—

ბ. ჯაფარიძე 19-ს წლის იქნებოდა, როდესაც მან 1868-ში ქუთაისის გიმნაზია ჩინებულად დაასრულა.

პეტერბურგის უნივერსიტეტს იმ დროებში კარგი და გამოჩენილი ადგილი ეჭირა, რუსეთის სხვა დანარჩენ უნივერსიტეტებთ შორის, როგორც თავის შესანიშნავის პროფესორებით, ისე სწავლის ყოველ-გვარის საშუალებებითაც,—განსაკუთრებით ყოველის მხრით მდიდარი იყო ამ უნივერსიტეტის ბუნებითი საგნების ფაკულტეტი.—ყველა ამასთან იმ დროს პეტერბურგის უნივერსიტეტის ახალგაზდობაც ბევრი კარგი თვისებებით და მიდრეკილებებით გაირჩეოდნენ დანარჩენის რუსეთის უნივერსიტეტების ახალგაზდობისაგან..... ბ. ჯაფარიძე, თუმც იმდენის შეძლების არ ყოფილა, მაგრამ მაინც არ ჩამორჩა თავის

ამხანაგებს, რომლების ერთი ნაწილი პეტერბურღის უნივერსიტეტში მაღალის სწავლის შესრულებას ეპირებოდა, და გაჰყვა მათ.

რუსეთის უნივერსიტეტში ყოველთვის გვყავნან ჩვენებურებთაგანი ძველი სტუდენტები, რომელნიც მართლის გულით ცდილობენ, რამ ახალ ჩამოსრულებთ და გამოუცდელ ყმაწვილებთ მისცენ რჩევა იმისთანა ფაკულტეტებში მაღალის სწავლის მიღებისა, რომელნიც მათის შეხედულობით, უფრო სასარგებლო და საჭირო ნაყოფის მომყვანნი იქნებოდა ჩვენი სამშობლოსა და საზოგადოებისათვის. ბ. ჯაფარიძესაც ამოსჩენოდნენ ამისთანა მრჩევლები, მაგრამ იგი არ აჰყვა მათ რჩევას, გარდაჰსწყვიტა ბუნებითი საგნების შეჰსწავლა და მეცნიერების ფაკულტეტზედ შევიდა კიდეც უნივერსიტეტში.—

იმ დროინდელი, საზოგადოთ, პეტერბურღის მაღალ-სასწავლებლების სტუდენტებთა შორის მოძრაობა პეტერბურღის უნივერსიტეტის სტუდენტობაშიაც გადვიდა……………………ხსენებულ მოძრაობაში, სხვა ჩვენებურ სტუდენტებთან განსვენებულმა ბ. ჯაფარიძემაც მიიღო მონაწილეობა, რომლის გულისთვისაც ის 1869 წ., მარტში თუ აპრილში, მართებლობამ ადმინისტრატიულის წესით გამოისტუმრა თავის სამშობლოში.

რუსეთიდამ ასე ძალა-უნებურად ჩამოსული განსვენებული, თითქმის ერთის წლის განმავლობაში, სცხოვრებდა რაჭაში, სოფ. ღაგვანთას (სადაც თავათ დაბადებული იყო) —, იქაურის მაზრის გამგეს მხედველობის ქვეშ….ამ ადმინისტრატიულის წესით დასჯასთან მართებლობამ, ზოგიერთ მათგანს და მათ შორის განსვენებულსაც, ის დასჯაც განუწესა, რომლის ძალითაც მათ ერთის წლის განმავლობაში (თუ არ ვცდები), ნება არ ჰქონდათ რუსეთის რომელიმე უნივერსიტეტში შესულიყვნენ, რომ მაღალი სწავლის მიღება განეგრძოთ.—

ბ. ჯაფარიძე კარგათ ხედავდა, რომ რუსეთში დაბრუნება მას აღარ არგებდა და განიზრახა, როგორმე იმდენი ყოველწლიური საშუალება მოეპოვებია, რომ საზღვარს გარეთ განეგრძო მაღალი სწავლის მიღება.—საშუალება, მისი იმდროინდელი მეგობრების შემწეობით, როგორც იყო, ამოუჩნდა—გამოჩნდა ერთი ახალგაზდა მდიდარი ყმაწვილი კაცი, რომელმაც იკისრა განსვენებულის და მასთან კიდევ ერთი იმის ამხანაგის, (რომელიც განსვენებულმა საზღვარს გარეთ იტალიანურ შვეიცარიაში დამარხა), საზღვარს გარეთ გაგზავნა და სწავლის დასრულებამდინ მათი იქ შენახვა. მაგრამ ახლა ნება დართვის აღება აბრკოლებდა.—ამ მხრით ყოველგვარმა მისმა მეცადინეობამ თითქოს ამაოთ ჩაუარა… ….განსვენებულს, არამც თუ საზღვარს გარეთ წასვლა, ქუთაისში ჩამოსვლის ნებაც არ ჰქონდა. მაგრამ როგორც იქნა აუარა გვერდი ამ დაბრკოლებასაც—იშოვნა მან შეძლება, წავიდა ჯერჯერობით ოდესაში, სადაც თითქმის ნახევარი წელიწადი დარჩა და იქაურს უნივერსიტეტში, როგორც თავისუფალი მსმენელი, ბუნებითი საგნების ფაკულტეტზე საჭირო საგნებს ისმენდა და ბოლოს ერთს მშვენიერს დილას აიღო საზღვარგარეთის პასპორტი და 1871 წ. გასწია შვეიცარიისაკენ.—

შვეიცარიის მაღალ-სასწავლებლიან ქალაქებში მან ჟენევა და მისი აკადემია (მაშინ კიდევ არ იყო უნივერსიტეტად გარდაკეთებული) არჩია.

ჟენევის აკადემიის ბუნებითის საგნების ფაკულტეტი, თავის გამოჩენილის სწავლულით და პროფესორით კარლ-ფოხტით, ძლიერ ბევრს ახალგაზდობას იზიდავდა ყოველ ქვეყნების უნივერსიტეტებიდამ.—კარლ-ფოხტი იყო ფაკულტეტის იმ დროინდელი დეკანი და აკადემიის რექტორი და თუ არა ვსცდები, სამს თუ ოთხს საგანს კითხულობდა ბუნების მეცნიერებიდამ: ზოოლოგიას, შედარებითს ანატომიას, ემბრიოლოგიას და პირუტყვთ ფიზიოლოგიას.—გარდა თეორეტიკულათ ლექციების სმენისა, ყველა ამ მოხსენებულ საგნებიდან სტუდენტები პრაკტიკულათაც ფოხტის ხელ-მძღვანელობით მუშაობდნენ.—

ოთხი წელიწადი დაჰყო განსვენებულმა ჟენევაში.—ამ ოთხის წლიდამ პირველს წელიწადს, ფრანციულის ენაში იმდენად გაიწრთვნა და გაივარჯიშა, რომ თავის-

უცხოეთ შესძლო არჩეულ საგნებიდამ ლექციების სმენა.— როგორც დატყო ენის მხრით ასე შეძლებულათ თავის-თავს, იმ წამსვე დაიწყო აკადემიაში სიარული და დანარჩენის სამის წლის განმავლობაში ბეჯითად და გულმოდგინეთ ადგა კიდეც თავის საქმეს.—ამის შემდეგ, საწუხაროთ, შეუძლებელი შეიქნა განსვენებულის საზღვარ გარეთ დარჩენა; ის წყარო, საიდამაც მას საშუალება ეძლეოდა, დაწრეტას ემუქრებოდა.. .სხვა გზით საიდამმე შეძლების მოპოების იმედი მას აღარ ჰქონდა და, მეტი გზა არ იყო, შუა გზაზე უნდა მიეტოვებია მაღალი სწავლა და დაბრუნებულიყო თავის სამშობლოში:— 1875-ს გამოვიდა საზღვარს გარეთიდამ და ისევ ოდესაში მოვიდა, სადაც, გავლით კურს შესასრულებელ საეგზემენოთ მომზადება დააპირა, მაგრამ სხვა და სხვა მიზეზების გამო, ვერ მოახერხა ეს საქმე და ჩამოვიდა თავის სამშობლოში.—

საზღვარ გარეთიდამ ჩამოსული, ყველა მის ნაცნობებს და ამხანაგებს კარგათ გვახსოვს. თუმც განსვენებული, როგორც ზევით მოგახსენეთ, ბევრის შეძლების პატრონი არ ჰყოფილა, მაგრამ მაინც არ დაჰსძალებია რომელიმე სამსახურში შესვლას. ამ მხრით ბ. ჯაოვარიძეს ერთი ძრიელ საგულისხმო დარწმუნება ჰქონდა, რომელიც თავის ამხანაგებში ხშირად გამოუთქვავს ხოლმე შემდეგის სიტყვებით: „სამსახურს", საზოგადოთ...., ჩვენს ახალგაზდობაზე, მაინც თავისი განმავლობა აქვს რაც უნდა ძლიერის რწმენის, მტკიცე ხასიათის და კეთილის განზრახვების პატრონი იყოს, ეს სამსახური, „კანცელარიაში" ერთი ან ორი წელიწადი ტრიალი, ამისთანა ყმაწვილს კაცს სულითა და გულითაც დავარდნილათ ხდის, უქარწყლებს მას მის წმინდა რწმენას და ჩვრათ აქცევს". ამ რწმენის დასამტკიცებელი მაგალითები ჩვენი ახალგაზდებიდამ თავათ უნახავს განსვენებულს.—ამიტომაც ეშინოდა იმისთანა სამსახურის, რომელსაც, ზემო მოყვანილი შედეგი ჰქონდა და ამიტომაც ვერ გაბედა მან სამსახურში შესვლა.—

განსვენებულის განზრახვა სულ სხვა იყო. მას სულითა და გულითაც უნდოდა ლიტერატურულის შრომისათვის მიეყო ხელი. ჩვენი დედა-ენა და ამ ენით ნაწერი მას იმდენათ უყვარდა, რამდენათაც მათი მბაგებელი და შემაგინებელი სძულდა.—

„დროების" მკითხველებს კარგათ ემახსოვრებათ, რომ 1871—ვიდრე 1874 წლის დალევამდე, ამ გაზეთში ხშირად იბეჭდებოდნენ ჟენევიდამ სხვა და სხვა კორრესპონდენციები, რომელშიაც დამწერი შვეიცარიის ხალხის ცხოვრებას, ამ ხალხის სხვა და სხვა ნაციონალურს ჩვეულებებს და თვისებებს და მათს თვით-მმართველობის დაწყობილობას აცნობებდა ჩვენს მკითხველებს. ეს წერილები ხელმოწერილნი იყვნენ ორის ასოთი: ბ ჯ., რომელნიც ბესარიონ ჯაოვარიძეს ნიშნავდნენ.—„დროების" თანამშრომელობა, როგორც ახლავე მოგახსენებთ, განსვენებულს არც საზღვარს გარეთიდამ დაბრუნების შემდეგ დაუყენია.—იმ გვარის შრომის არჩევის შემდეგ, რომელზედაც ზევით ვანბობ, განსვენებულს, მეტი გზა არ იყო თფილისი უნდა ამოერჩია საცხოვრებელ ადგილათ, რადგან ჩვენს ენაზე თუ რამ გამოდის, ან ჩვენი ლიტერატურისათვის თუ ვისმე მოღვაწენი გვყავს იქ ჰსცხოვრობდნენ.—თფილისში გადასვლისათანავე, თითქმის ერთის წლის განმავლობაში ე. ი. 1875 წ. დამლევს და 1876 წ. დასაწყისს, განსვენებული ძრიელ დაახლოვებულს და მხურვალე თანამშრომელობას იღებდა „დროებაში". ამ დროს „დროებას" მარტო სამი მუდმივი თანამშრომელი ჰყვანდა: ერთი თავათ რედაქტორი იყო, მეორე ბ. ჯაოვარიძე და მესამეც დ. ჩხოტუა, რომლის ბედის ჩარხიც ასე უკუღმართად დატრიალდა ამ უკანასკნელს დროს.—ეს ორი კაცი არა გვარის „პირობებით" არ შეკრულან „დროების" რედაქტორთან თავის თანამშრომელობის შესახებ.—ერთს მშვენიერს საღამოს კარგა გულ-დასმით მოლაპარაკების შემდეგ, შესახებ გაზეთის გაუმჯობესობისა, მათ გადასწყვიტეს მუდმივი თანამშრომელობა გაზეთში და ამ გვარათ შრომობდნენ კიდეც, სანამ რაღაც, სულ უბრალო მიზეზისა გამო, იძულებულნი არ შეიქმნენ გაზეთის თანამშრომელობა მიეტოვებიათ.—საჭიროთ არ ვრაცხ ეხლა ამ მიზეზზე აქ დავიწყო ლაპარაკი, მხოლოდ იმას კი ვიტყვი, რომ განსვენებული ამ შემთხვევაში ისე მოიქცა, როგორც იმის ადგილზე სხვა მოიქცეოდა.....

იმ ხანებში თფილისში შესდგა მეორე ლიტერატურული წრე, ი. ჭავჭავაძის თაოსნობით და მისსავე გარ-

შემო; შეიქნა მოლაპარაკება მეორე ქართულის გაზეთის დაარსებაზე და დაარსეს კიდეც გაზეთი „ივერია“, რომელ-შიაც თანამშრომლობა, სხვათა შორის, განსვენებულმაც აღიარა.

„ივერიის“ დაარსება ძრიელ უხაროდა განსვენებულს, განა იმიტომ კი არა, რომ იმის რედაქციას გარშემო „დროების“ რედაქციის მოწინააღმდეგე პირებმა მოიყარეს თავი, როგორც ამას იმ დროებში და ეხლაც ამტკიცებ-დნენ, არამედ იმიტომ, რომ ჩვენს ლიტერატურას ერთი კიდევ დრო-გამოშვებითი გამოცემა მოემატა, რომელიც ახალი მწერლების და ქართულის ლიტერატურისათვის მშრომლებს გამოწვევას შეიძლებდა.

გარემოებამ მოიტანა, რომ განსვენებული ქუთაისში უნდა გადმოსულიყო..... მისი ამხანაგები, (ვინც კი „ივერიის“ ნომრებს თვალყურს ადევნებდით), რომ შიგ განსვენებულის არა იბეჭდებოდა რა — ბევრნი სულ სხვა ნაირად ხსნიდნენ ამ გარემოებას, თვათ განსვენებული კი, ამის შესახებ ჩვენს კითხვაზე, შემდეგს პასუხს გვაძ-ლევდა ხოლმე: „მე აღმითქვამს „ივერიისათვის“ მუდმივი თანამშრომლობა და არა კორრესპონდენციების წერა. უნდა ველოდე იმ დროს, როდესაც თფილისში გარდავალ, რომ ეს მიცემული სიტყვა აღვასრულო“.... თფილისში გადასვლა მეტის მეტად უნდოდა განსვენებულს. ამის მიზეზათ ერთი ის მოჰყავდა, რომელიც ეს არის მო-გახსენეთ, ე. ი. „ივერიაში“ მუდმივი თანამშრომლობის მონაწილეობის მიღება; მეორე მიზეზათ, ხშირად იტყოდა ხოლმე განსვენებული: „ქუთაისში გამოვყრუვდიო!“.... თფილისში განსვენებულს ის ახალგაზდობაც ეგულებოდა, რომლებთანაც ბაასში მას არა ერთხელ გაუტარებია სა-ღამოები.—ამ მიზეზებთ გარდა განსვენებულს თავის ავათმყოფობის ექიმობაც ჰქონდა სახეში. მაგრამ არ დასცალდა მას ეს გულის წადილი: იმის დაზიანებულს სტომაკს, რომლითაც, იქნება ეს უკანასკნელი ექვსი წელიწადი, ავათ იყო და რომლიდამაც თფილისის ექი-მების შეწყობით განთავისუფლებას აპირებდა, უბრალო გაციებით აუტეხა ნაწლევების ანთება და, ორის დღის ავათმყოფობის შემდეგ, გაუტევა სული.—

ბ. ჯაფარიძის სიკვდილი მით უფრო საგრძნობელია ჩვენთვის, მკითხველო, რომ იმასთან ერთად ჩვენ დავკარ-გეთ ერთი ბეჯითი, პატიოსანი და უყვარალი მოღვაწე-თაგანი ჩვენი ძალათ დალატაკებულის ლიტერატურისა.—ჩვენი ლიტერატურისათვის განსვენებულის შრომა მარტო „დროებაში“ და „ივერიაში“ თანამშრომლობით კი არ გამოიხატება, არამედ შემდეგითაც:

1876 წ. თფილისში რამდენიმე ჩვენი მწიგნობრო-ბის მოღვაწეთაგანმა განიზრახეს ქართული ძველი და ახალი მწერლების თხზულებების გამოცემა.—ყველამ კარგათ იცის, ვინც ამ საქმეში კი მონაწილეობას იღებდა, რომ სანამ განსვენებული ამ საზოგადოების, თუ კი შეიძლება ასე დავარქვათ, საქმეებს მართავდა, წიგნების გამოცემა ძრიელ მარჯვეთ და კარგათ მიდიოდა. იმის თფილისში მყოფობის დროს ოთხი წიგნი გამოიცა, ნა-ხევარი წლის განმავლობაში.—გარემოებამ მოიტანა, რომ ის და ორი კიდევ მონაწილენი ამ საქმისა უნდა გასულ-იყვნენ თფილისიდამ და იმ დღიდამ საქმეც თითქოს შესწყდა—უკანასკნელი წელიწად-ნახევარი იქნება ერთი უბრალო წიგნი რა არის არ გამოუციათ.—

განსვენებული პირველ დღიდამვე გულით და სუ-ლით მოეკიდა საქმეს: გამოსაცემ თხზულებებს ის ჰკრებდა და აძლევდა საბეჭდავში, ხშირათ კორრეკტურას ჰსინჯავდა, დაბეჭდილს თუ იქვე თფილისში, წიგნების მაღაზიებში, და თუ სხვა და სხვა ჩვენებურს ქალაქებში და სოფლებ-ში არიგებდა გასასყიდლათ.—ერთის სიტყვით, განსვე-ნებული „შავი მუშა“ იყო ამ საქმეში.—

ღიას, მკითხველო, ბ. ჯაფარიძე სწორეთ შავი მუშა იყო იმისთანა საქმეში, რომლიდამაც ის ჩვენი ქვეყნისა და საზოგადოებისათვის სარგებლობას მოელოდა.—ამის დასამტკიცებლათ მოვიყვანოთ კიდევ ერთი მაგალითი, იმის სამზღვარ გარეთელის ცხოვრებიდამ, რომელიც ეგე-ბის ისე შესამჩნევად არ ეჩვენოს ზოგიერთს.—ჩვენმა სამზღვარ გარეთელმა კალონიამ, რომ სამშობლო ენა არ დავიწყებოდათ, დაარსა პატარა წრე, რომლის სხდომებ-ზედაც კითხულობდნენ და ერთი ერთმანერთს უხსნიდნენ ხოლმე თუ „დავითიანს“, თუ „ვეფხვის ტყაოსანს“ თუ „ქართლის ცხოვრებას“ და თუ სხვა და სხვა ჩვენის ძვე-ლისა და ახალის მწერლების ნაწერებს.—კალონიას ჩინებუ-ლი ბიბლიოტეკა ჰქონდა, სადაც სხვათა შორის, ბევრი ქართული წიგნებიც იყო.—ამ წრის ჟენევის განყოფი-ლებაში, რომელიც სხვათა შორის განსვენებულის თაოს-ნობითაც დაარსდა, დიდს მონაწილეობას იღებდა ის, რადგან ხედავდა, რომ ამ გვარი შრომით არამც თუ მცოდნეთ არ ავიწყდებოდათ ენა, არამედ იმისთანებმაც კი ისწავლეს, რომელთაც წინეთ თითქმის უჭირდათ ქართულად რამე ჰაზრის გამოთქმა—ეს უკანასკნელნი შემდეგ და შემდეგ რეფერატებსაც კი ჰსწერდნენ ქარ-თულს ენაზე.—

რუსული ანდაზა ამბობს—„მკვდრები ცუდათ არ იხსენიებიანო“, მაგრამ, სიმართლე უნდა ვსთქვა, მე არ დავსდევდი ამ ანდაზას, რომ განსვენებულზე მართლა რამე ცუდის თქმა შეიძლებოდეს.—ბ. ჯაფარიძე, როგორც კაცი-ადამიანიც ხელით სათითუბელი იყო.—განსვენებული იყო რაჭველი, და როგორც რაჭველი—იყო პატიოსანი, გულ-დია, მართალი, ბეჯითი, მეტის-მეტი კეთილი, წყნარი და ამხანაგობაში გამტანი, დაუფასებელი კაცი.—

საუკუნოთ იყოს ხსენება შენი, უდროოთ დაკარგულო, ძვირფასო ამხანაგო და მეგობარო!

ი.—ი.

20 დეკემბერს 1877 წ.
ქ. ქუთაისი.

---

## მომავალ 1878 წელს გაზეთი

# „დროება“

გამოვა იმავე პროგრამმითა და მიმართულებით, როგორც დღემდინ გამოდიოდა ხოლმე.

ამ უკანასკნელი ნახევარი წლის გამოცდილებამ დაგვარწმუნა ჩვენ, რომ ყოველ-დღიური გაზეთი ჩვენთვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენდა და ამიტომ მომავალ წელსაც „დროება“ მუდამ დღე გამოვა, გარდა ორშაბათისა და უქმეების შემდეგ დღეებისა.

### ხელის-მოწერა

ტფილისში.—მიიღება „დროების“ რედაქციაში (სერგიევის ქუჩაზე, ივ. ამირაგოვის სახლებში.

გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: Въ Тифлисъ, въ редакцію «ДРОЭБА».

### ფასი გაზეთისა

მთელის წლისა . . . . . 8 მან. » კაპ.
ექვსი თვისა . . . . . . 4 » 50 »
ოთხის თვისა . . . . . . 3 » » »

მხოლოდ ამ ვადებით შეიძლება მომავალის წლიდამ გაზეთის დაბარება.

უმორჩილესი თხოვნა ხელის-მომწერლებსა და აგენტებს: ხვედრი ფული გაზეთისა იმის დაბარებისათანავე უნდა იქმნეს გამოგზავნილი; თუ არ თავის აგენტების საშუალებით, ისე რედაქცია უფულოთ გაზეთს არავის არ გაუგზავნის.

---

### ი ს ყ ი დ ე ბ ა

ტფილისში, ვართანოვის და გრიქუროვის წიგნის მაღაზიებში და „ივერიის“ რედაქციაში:

ქუთაისს, ა. ჭიჭინაძის წიგნის მაღაზიაში.

გორს, ივარნაოზ ნათიევისას.

ახალციხეს, ალექსეევ-მესხიევისას (მიროვოი პოსრედნიკი).

ლექსნი თქმულნი თ. ნ. ბარათაშვილისაგან, ფასი . . . . . . . . . . . . . . , 20 კ.

ქართული ანდაზები, ფასი . . . . . . 10 კ.

მეფე ლირი, ტრაგედია შექსპირისა, თარგმნილი ილია ჭავჭავაძისა და ივანე მაჩაბლისაგან, ფასი. . . . . . . . . . . . . . . 60 კ.

ზ. ნ. ანტონოვის თხზულებანი (ანტონოვის ბიოგრაფია.—მე მინდა გნეინა გავხდე—ქმარი ხუთის ცოლისა.—განა ბიძამ ცოლი შეირთო?—მზის დაბნელება თბილისში.—ქოროღლი.—ხევსურთ ქორწინება.—ტივით მოგზაურობა ლიტერატორთა), ფასი . . 1 მ.

---

იბეჭდება და იანვრის პირველს გამოვა

# ალმანახი

შედგენილი გ. თუმანიშვილისაგან.

შინაარსი: ახრმანდელ ქართულ მწერლობის გადათვალიერება.—პატარა წერილი დიდ საქმეზე.—ექვსი ლექსი თ. ალ. ჭავჭავაძისა (ჯერ არსად არ დაბეჭდილნი).—ჟორჟ-დანდენი, სამ მოქმედებიანი კომედია მოლიერისა.—სამი ლექსი თ. მიხ. ბირთვ. თუმანიშვილისა.—ეკონომიური სურათები (გარდასახლება.—საფრანგეთი.—ინგლისი).

ფასი ორი აბაზი, გაიყიდება თფილისში ვართანოვის და გრიქუროვის წიგნის მაღაზიებში.

---

Дозволено цензурою. Тифлисъ, 14 Декабря 1877 г. Типографія Е. Хеладзе. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.

c 32[illegible]
1